**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის**

**ოქმი № 4**

ქ. თერჯოლა 12 ივნისი 2026 წელი

**სხდომას უძღვებოდა:** კომისიის თავმჯდომარე ნინო ოქრუაძე

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. ნინო ოქრუაძე, 2. ნატო კვეტენაძე, 3. ლაშა გურგენიძე, 4. ომარი ჯიხვაშვილი, 5. ელისო მურადაშვილი, 6. გრიგოლ გიორგაძე, 7. მანუჩარ ფანჩულიძე, 8. ჯანო რობაქიძე, 9. მაკა ყიფშიძე, 10. გიორგი თურქაძე, 11. მამული კოვზირიძე, 12. ნოდარი ხოხიაშვილი, 13. რამაზი ლორთქიფანიძე, 14. ერეკლე კირკიტაძე, 15. გიორგი ქასრაშვილი, 16. ჯემალ ისაკაძე.

**კომისიის შემადგენლობა: 16 წევრი**
**დამსწრე წევრთა რაოდენობა: 16**
**კვორუმი: 8 წევრი**

**სხდომას ესწრებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი მაკა ასათიანი.**

**დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ტურიზმის მიმართულებით (თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის წერილი №28-282616220, 11.06. 2026 წ.).

მომხს.: ს.ბუსკივაძე

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 0**

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელმა სოფიო ბუსკივაძემ კომისიის წევრებს გააცნო ტურიზმის მიმართულების მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში.

**აზრი გამოთქვეს:** კომისიის წევრების მიერ დასმული იქნა შეკითხვები. გამოვლინდა ხარვეზები:

1. მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეკრიაციული ზონებისა და კულტურული ძეგლების პოპულარიზაციისათვის არ ხდება ქმედითი ღონიძსძიებების გატარება.
2. არ ახორციელებს მოლაპარაკებებს ბოლო წლების განმავლობაში ადგილობრივ და სხვა და სხვა ტუტურისტულ სააგენტოებთან.
3. არ ხდება აქტიურად Facebook გვერდზე ინფორმაციის განახლება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალისა და ლოკაციების შესახებ.

სამსახურის მიერ 2025 წლის გაწეული მუშაობის ანგარიში კომისიის წევრების მიერ არ შეფასდა დადებითად, მაგრამ მხარს უჭერს საკითხის ბიუროს სხდომაზე გატანას.

**კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 0**

**გადაწყვიტეს:** განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, ტურიზმის მიმართულებით.

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ოქრუაძე